26 მაისს საქართველოში ჩატარდა რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები!

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№65 (6441) 28 მაისი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარი მონაცემებით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა ბატონი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია!

შეჯამდა არჩევნების შედეგები

26 მაისი ორმაგად სახიხარულო დღე იყო ქართველი ხალხისათვის. აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე და ჩატარდა რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის არჩევნები.

წინა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობამ ლეჩხუმელ ხალხს მთელი რესპუბლიკის მცხოვრებთან ერთად მისცა საშუალება პირველ პრეზიდენტად აერჩიათ მათთვის სასურველი, ნამდვილი მამულიშვილი, ნამდვილი ერისკაცი.

ჩვენი რაიონის ყველა საარჩევნო უბანში არჩევნები დაიწყო და წარიმართა ნორმალურად. მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით. რამაც გამოხატულება არჩევნების შედეგებში ჰპოვა.

სულ რაიონში არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო 12618 ამომრჩეველს, ფაქტიურად საარჩევნო ყუთებთან გამოცხადდა 12311 ანუ 97,5 პროცენტი.

აქედან ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ 11618 ამომრჩეველმა ხმა მისცა პრეზიდენტობის კანდიდატს ბატონ ზვიად გამსახურდიას, აიუ 94,3 პროცენტმა.

პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებმა მიიღეს ხმების შემდეგი რაოდენობა. ირაკლი შენგელაიამ—38, ჯემალ მიქელაძემ—139, ვალერიან ადვაძემ—229, თამაზ კვაჭანტირაძემ—24, ნოდარ ნათაძემ—30.

ყველას გასაგონად

არჩევნების დღეს ხალხმრავლობა იყო ქვედა ცაგერის საარჩევნო უბანში. ამომრჩევლები დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი ნებით შეარჩევდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტს ხალისით მოვიდნენ საარჩევნო უბანში. ჯერ კიდევ 6 საათსა და 30 წუთზე საარჩევნო უბნის ეზო ამომრჩევლებით იყო სავსე. ისინი ერთმანეთს ულოცავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს.

უბანში საზეიმო განწყობილება სუფევდა. საუბნო საარჩევნო კომისიას ყველაფერი მზად ჰქონდა არჩევნების კანონის სრული შესაბამისობით ჩატარებისათვის.

სრულ 7 საათზე საარჩევნო ბიულეტენი მიიღო მოწინავე მშრომელმა ჯემალ მუსელიანმა, რომელმაც განაცხადა—ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ხმას ვაძლევ საქართველოს პირველ პრეზიდენტობის კანდიდატს, ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ ხმას ვაძლევ ბატონ ზვიად გამსახურდიას, ეროვნული მოძრაობის ლიდერს, გონიერ, პატიოსან, ნიჭიერ ადამიანს. მწამს მისი ხელმძღვანელობით საქართველო მიიღებს სრულ დამოუკიდებლობას.

ქვედა ცაგერის საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა სიით უნდა გამოცხადებულიყო 1455 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილე 1335 ამომრჩეველიდან ბატონ ზვიად გამსახურდიას სასარგებლო ხმა მისცა 1213 ამომრჩეველმა, რითაც საარჩევნო უბნის ამომრჩევლებმა თავიანთი ხმა შეუერთეს ჩვენი რესპუბლიკის წინსვლას, მის სრულ დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებულ ეროვნულ ბრძოლას.

ზურგს

არ შევაქცევთ სალოცავს

არნახული ხალისი და ინტერესი ახლდა 26 მაისს ისუნდრის 28 საარჩევნო უბანში პრეზიდენტის არჩევნებს, რომლის მოსამზადებლად სერიოზული მუშაობა გასწიეს საარჩევნო კომისიის (თავმჯდომარე ზურაბ აკობიძე) წევრებმა. ამ პატარა სოფლის საარჩევნო უბანში ორი სოფელი—მახურა და ისუნდერი იყო გაერთიანებული. სულ 229 ამომრჩეველი აძლევდა ხმას საქართველოს პირველ პრეზიდენტს. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კამპანია დილის 7 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ დილის 6 საათიდან იწყეს ამომრჩევლებმა მოსვლა საარჩევნო უბანში.

საარჩევნო წესისა და კანონის ზუსტი დაცვით მოუწყვიათ საარჩევნო კომისიის წევრებს ყველაფერი. ხმის მისაცემად მოსულმა პირველმა ამომრჩეველმა ბარდღა აკობიძემ და მას შემდეგ მოსულმა ბევრმა მათგანმა კაბინაში შესვლა არც-კი ისურვა და იქვე, საჯაროდ აძლევდა ხმას ერის კელაპტრად ქცეულ თავკაცს ზვიად გამსახურდიას.

—რა დროს სხვა არჩევანია, ვიცი, კარგად მესმის, რომ ასე ცოტა ხანში არ შეიძლება სასწაულების მოხდენა, როცა ასე გაცლილ-გაპარტახებული სამშობლო ჩავაბარეთ კაცს, რომელსაც საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის ბავშვობიდან იწვის—თქვა ოთხმოც წელს მიღწეულმა მოხუცმა, სოფელ მახურაში მცხოვრებმა კაპიტო კუხალაშვილმა, რომელმაც მისი თანასოფლელებისათვის განკუთვნილი ავტომანქანა არ ისურვა და საარჩევნო უბნამდე სამი კილომეტრი გზა ფეხით გამოიარა.

ამომრჩევლებმა სწორად და მართებულად გააკეთეს არჩევანი, არ უღალატეს ერთხელ არჩეულ გზას, ზურგი არ შეაქციეს თავის სალოცავს და შედეგიც სახეზეა, საარჩევნო უბნის 229 ამომრჩეველიდან 227 ხმა ზვიად გამსახურდიას სასარგებლო იყო.

ხმა მისცეს საქართველოს ბედნიერ ხვალეს

ცაგერის № 22 საარჩევნო უბანში სრული დემოკრატიულობით წარიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევნები, დილის 7 საათისათვის ხალხმრავლობა იყო საარჩევნო უბანში. აქ შექმნილი იყო ყველა პირობა, რომ თითოეულს გამოეხატა თავისი ნება

სულ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო 1405 ამომრჩეველს, ფაქტიურად მონაწილეობა 1319 ამომრჩეველმა მიიღო, მათ შორის პრეზიდენტობის კანდიდატმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო სასარგებლოდ 1177 ხმა, რაც ამომრჩეველთა 89,91 პროცენტს შეადგენს.

ხმა მისცეს რა პრეზიდენტობის სასურველ კანდიდატს ბატონ ზვიად გამსახურდიას, ამით ქალაქ ცაგერის ამომრჩევლებმა ხმა მისცეს საქართველოს უკეთეს ხვალეს, ბედნიერ მომავალს.

საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორედ!

ღია წერილი ეროვნულ გვარდიაში

გასაწვევ ჭაბუკებს

გამარჯობათ ბიჭებო!

ამ წერილის ადრესატები 18-20 წლის ბიჭები ხართ. და როგორც თანატოლი-თანატოლთ, მინდა, გულწრფელად გესაუბროთ.

თქვენ კარგად იცით, როგორ უჭირს დღეს ათასგზის განაწამებ, ეკლის გვირგვინოსან საქართველოს. უჭირს, რადგან „ძნელი არს გზა თავისუფლებისაკენ“ და რადგან „თავისუფლება ისე არ მოდის“...

საქართველო ბაბილონის გოდოლია, ბიჭებო, და ამ გოდოლის მშენებელთ ენა შეგვირიეს, ერთმანეთის გულებთან მისავალი გზები მოგვიჭრეს, გაგვთიშეს და იბატონეს, მაგრამ არა უფალმა (როგორც საღვთო სჯულში წერია), არამედ ძმად მოსულმა მტერმა, მეგობრობა რომ ვთხოვეთ და მონებად გვაქცია. როგორ და რისთვის, ეს მჯერა, თქვენც კარგად იცით, თუმცა საქართველოს ისტორიას ჩემსავით თქვენც არაფრისმთქმელი, უაზრო ფრაზებით და მშრალი ციფრებით გამოტენილი სახელმძღვანელოდან გასწავლიდნენ.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

ბევრი რამ იცვლება დღევანდელი სკოლის ცხოვრებაში, იგი თანდათან ახლებური, საინტერესო ხდება, თუ ეს ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვინდა. ჩვენ-თქო, რომ ვამბობთ, მთელს საქართველოს ვგულისხმობ. დროა წარსულს ჩაბარდეს დროგადასული დოგმები, საოცრად რომ ბოჭავს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მასწავლებელს და ცოდნას დაწაფებულ ბავშვს. სკოლა ახლა სულ სხვანაირი თაობის აღზრდის სამსახურში უნდა ჩადგეს, იმ სამსახურში, რომლითაც საქართველოს განათლებულ, ერუდირებულ, საღად მოაზროვნე თაობას გაუზრდის, ჩემი საუბარიც ცაგერის რაიონის განათლების განყოფილების გამგესთან ბურამ ხმელიძესთან სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა. დიალოგს ქვემოთ გთავაზობთ. ჩვენ ორთავემ ჩვენი სიტყვა ვთქვით, დანარჩენი კი თქვენ განსაჯეთ, ძვირფასო მკითხველებო.

ბავშვებო, როგორ ვსწავლობდით და როგორ ვისწავლოთ...

* * *

—საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება მოპოვებული თავისუფლების განსამტკიცებლად, ახალ საქართველოს ახლებურად აღზრდილი მომავალი თაობა სჭირდება. როგორი იყო სკოლა გუშინ? როგორი უნდა იყოს ხვალ?

—როგორი იყო გუშინ? ალბათ ბევრი ნაკლით შემკული. ქართულ სკოლაში ერთგვარად ჩრდილში იყო დაყენებული ეროვნული თვითშეგნებისათვის ახალგაზრდობის მომზადება. კერძოდ, მცირე რაოდენობის საათები ეთმობოდა საქართველოს ისტორიას, საქართველოს გეოგრაფიას, არ ითვალისწინებდა რელიგიის ისტორიის სწავლებას, რაც მთავარია, არ იყო ორიგინალური სახელმძღვანელო, ყველა წიგნი ნათარგმნი იყო. ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, დიდი მოცულობით ისწავლებოდა ე. წ. „სსრკ ისტორიას", რომელიც ფაქტიურად რუსეთის ისტორია იყო.

ყველაზე დიდი უარყოფითი შედეგი გამოიღო საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებამ მართალია, იყო სპეციალური სკოლები ნაკლებად განვითარებული ბავშვებისათვის, მაგრამ ამ სკოლებისათვის მშობლებს არ ემეტებოდა ბავშვები, ისინი კატეგორიული წინააღმდეგებიც კი იყვნენ ამის და ბევრი ასეთი ბავშვი აგრძელებდა სწავლას საშუალო სკოლაში, დადიოდა მხოლოდ კლასიდან კლასში გადასასვლელად, ამთავრებდა სკოლას და არათუ სავალდებულო, არამედ მინიმალური ცოდნაც კი არ ჰქონდა შეძენილი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სკოლაში კარგად მომზადებული კადრები მოვიდა, მასწავლებელთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ასწავლის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. აქ გარკვეულად სცოდავს უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელიც, სადაც აქამდე განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებას და ამის გამო საჭიროზე ნაკლები დრო რჩებოდა სპეციალურ საგანთა სწავლებას. ამას ისიც ემატება, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილი პენსიონერია, ან საპენსიო ასაკს მიღწეული, ამ კატეგორიის მუშაკებიდან საბედნიეროდ, უმრავლესობა კარგად ართმევს თავს მოსწავლეთა სწავლების საქმეს. მაგრამ ერთი ნაწილი კი მნიშვნელოვნად ჩამორჩა საღეისო მოთხოვნებს.

რაც შეეხება სახვალიო პერსპექტივას, ამისათვის ასე თუ ისე უკვე დღეს იქნება წინაპირობები. ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის შესწავლისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა, შემოღებულ იქნა რელიგიის ისტორიის სწავლება.

—ეს სწორედ ამ საკითხს მინდოდა შეხებოდით. ყველამ ვიცით, რომ ქართულ სკოლას ერთი მშვენიერი ტრადიცია ჰქონდა—ქართულ გიმნაზიაში საღვთო სჯული ისწავლებოდა, თქვენ როგორ უყურებთ საღვთო სჯულის სწავლების აუცილებლობას სკოლაში?

—სასკოლო პროგრამიდან საღვთო სჯულის ამოღება დიდი შეცდომა იყო, რას უნერგავს იგი ბავშვებს? ყოველივე საუკეთესოს, მარტო ათი მცნება რომ ავიღოთ: არ იქურდო, არ იმრუშო, პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა, გიყვარდეს უფალი, გქონდეს რწმენა—აბა რა არის ამაში ცუდი?! ახლა ისევ უბრუნდება სკოლა სულიერი გაფაქიზების ამ გზას. ჯერ-ჯერობით კვალიფიციური სპეციალისტები არ გყოფნიან და ამ საქმეს ისტორიის მასწავლებლები აკეთებენ, ზოგჯერ ისინიც შეგნებულად არიდებენ თავს ამას, იმიტომ, რომ რთული საგანია და მოსწავლემდე მის მიტანას დიდი შრომა უნდა. ლასურიაშის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა გამოთქვა სურვილი კვალიფიკაციის ასამაღლებლად თბილისში ერთთვიანი კურსების გავლის თაობაზე. ჯერ-ჯერობით ასეთები ერთეულებია, მაგრამ შემდეგ თანდათან გავზრდით მათ რაოდენობას.

—სიახლე ბევრია დანერგილი ახლა სკოლაში, კერძოდ, ამ გამოცდების წინ. საზოგადოებას აინტერესებს რა ცვლილებებია მე-9 კლასის და გამოსაშვებ კლასელთა გამოცდებში?

—ჩვენთან სამ საფეხურიანი სკოლაა.—1—4, 5—9 და მე-10—11 12 კლასები. ბოლო წლებში გარდა მე-9 და მე-11 კლასებისა გამოცდების ჩატარება სავალდებულოდ არ არის მიჩნეული, ე. ი. გამოცდები ტარდებოდა მეცხრე კლასში გამოსაშვები და მე-11 ში დამამთავრებელი. მიმდინარე სასწავლო წელს ეს მოთხოვნაც გარკვეულად შეიცვალა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მე-9 კლასში გამოსაშვები გამოცდები აღარ ტარდება, არასრული საშუალო განათლების მოწმობა მე-9 კლასის მოსწავლეს მიეცემა დადებითი წლიური ნიშნების საფუძველზე. მას უფლება ეძლევა მისაღები გამოცდები ჩააბაროს ტექნიკუმში, პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-10 კლასში. სწავლის გაგრძელების უფლება ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ იგი დადებით ნიშნებზე მაინც ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს.

იგი ტარდება 10 ივნისიდან 20 ივნისამდე. მომდევნო სასწავლო წელს ბევრი მოსწავლე მოისურვებს ცაგერის № 91 პროფტექნიკურ სკოლაში შესვლას, რადგანაც იქ მეტად პერსპექტიული სპეციალობები არის შემოღებული.

მისაღები გამოცდები მე-10 კლასში ტარდება მშობლიურ ენისა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკა (წერა) და 2 საგანში, რომელსაც თვით სკოლა აირჩევს (დიფერენცირებული სწავლების სკოლებში 2 მაპროფილებელ საგანში).

თუ სკოლაში მე-10 კლასში სწავლის გაგრძელების მსურველთა რიცხვი დიდია, მაშინ სკოლა აცხადებს კონკურსს და ამ კონკურსის საფუძველზე რიცხავს საუკეთესოებს. მოცემულ სხვა სკოლაში მოსწავლეთა გამოცდებზე დაშვების საკითხს წყვეტს მიმღები სკოლის დირექტორი, მოსწავლის განცხადების, არასრული განათლების მოწმობის და საცხოვრებელი ადგილის შესახებ ცნობის საფუძველზე.

საერთოდ საგამოცდო ზეპირ საგნებს არჩევს, განიხილავს და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. ჩვენს რაიონში კონკურსის გამოცხადების შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ცაგერის საშუალო სკოლას, სხვა სკოლებში მე-9 კლასში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა. აქვე დავამატებ: მოსწავლეები, რომლებიც ვერ მოხვდებიან საშუალო სპეციალურ სასწავლებელში, დადებითი ნიშნების მიღების შემთხვევაში, მათ უფლება აქვთ სწავლა გააგრძელონ სკოლის პროფტექნიკურ სასწავლებელში ან ზოგად საგანმანათლებლო სკოლის მე-10 კლასში განათლების განყოფილების ნებართვით, განსხვავებული 2 საგნის ჩაბარებით შემდეგ.

ახლა რაც შეეხება დიფერენცირებული სწავლების ჯგუფებს. ჩვენ ჯერ-ჯერობით ეს გაკეთებული გვაქვს ლაჯანის სკოლა-ინტერნატში, ფიზიკა-მათემატიკის პროფილით. ამის დიდი სურვილი გამოთქვა ლასურიაშის სკოლამ, ქიმია ბიოლოგიის პროფილით. ჯგუფების ჩმაოყალიბების სურვილი აქვს ცაგერის საშუალო სკოლას, აქვე იქნება ჰუმანიტარული პროფილით მეორე ჯგუფიც.

ჰუმანიტარული პროფილით სკოლის მე-10 კლასში გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

ქიმია-ბიოლოგიის პროფილით—მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი) და ქიმია (ზეპირი).

—ფიზიკა-მათემატიკის პროფილით—მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ერთ-ერთ საგანს აირჩევს თვით სკოლა.

—რა ბედი უნდა ეწიოთ საშემოდგომო მიცემულ და გამოცდებზე ჩაჭრილ მოწვლეებს?

—მათ უფლება ეძლევა მისაღები გამოცდები ჩააბარონ საღამოს სკოლაში საშემოდგომო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, მაგრამ ახლა ახალი პრობლემა დგება, რაიონს არ აქვს საღამოს სკოლა, თუნდაც იყოს ერთი სკოლა, საკმარისი მაინც არ იქნება. ეს საკითხიც მოსაგვარებელია.

აპრილის მიწისძვრამ ბევრი სკოლა დააზიანა და განათლების განყოფილება ბევრი პრობლემის წინაშე დადგა, კერძოდ რომელი სკოლებია დაზიანებული და რის გაკეთებას აპირებთ.

—საბედნიეროდ, დანგრეული არცერთი არ არის, მნიშვნელოვნად დაზიანდა ოყურეშის, ზუბის, ბარდნალის, ლასურიაშის, ცაგერის, ორბელის, ტვიშის, განსაკუთრებით თაბორის სკოლა. და სხვა მრავალი სასწავლო დაწესებულება. ეს უკანასკნელი მანამდეც იყო დაზიანებული და ახლა აქ აუცილებელია გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. ამჟამად არასაშიშ ოთახებში გადავიყვანეთ ბავშვები. მასალები წარდგენილია განათლების სამინისტროში, და მთავრობაში. ჩამოსული იყო სპეციალისტების ბრიგადა, უახლოეს დღეებში ველოდებით სამშენებლო მასალებს, ფულად ფონდებს და მათი გამოყოფის შემთხვევაში ყველა ობიექტზე დაიწყება შეკეთებითი სამუშაოები. სანამ მიწისძვრა იქნებოდა, გაერთიანება „თბილგზის" გენერალურმა დირეტორმა კარლო აკაკის ძე მუშკუდიანმა პირობა მოგვცა, რომ გამოგვიყოფდა 100 ტონამდე ცემენტს, მითუმეტეს ახლაა, დახმარება საჭირო, რაზედაც უკან არ იწევს მრავალი კარგი საქმის მოთაკე ჩვენი თანამემამულე.

—ასეთი ბლიც შეკითხვა ამ წუთში ერთი ხელის მოსწით რომ შეგეძლოთ თქვენი რაიონის განათლების სისტემის რომელიმე პრობლემის გადაჭრა, უპირველეს ყოვლისა რას გააკეთებდით?

—კადრების პრობლემა გვაქვს, გვაკლია კადრები. იძულებული ვართ ვამუშაოთ პენსიონერები. სკოლებს მივცემდი საჭირო ფულად სახსრებს, რის ნაკლებობასაც ისინი განიცდიან.

—მე ვიცი, რომ ზოგიერთ სკოლაში ამა თუ იმ საგანს არასპეციალისტი ან სულაც საშუალო განათლების მქონე პიროვნება ასწავლის?

—კიდევ ვიმეორებ ეს კადრების შიმშილის ბრალია. ხოლო რაც შეეხება საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებს, მათი უმრავლესობა დღეს დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები გახდნენ და მუშაობასთან ერთად პროფესიასაც ეუფლებიან.

—მადლობით ინტერვიუსთვის!

მადონა მახაროგლიძე.

საქართველოს ეროვნული ფიგურისთვის ბიჭებო, სწორედით!

(დასასრული).

მე და თქვენ არა მეგობრებო, მაგრამ ჩვენი წინაპრები მომსწრე არიან იმისა, რუსის სალდათურმა ჩექმებმა პირველად როგორ შეგვიბილწეს ქართული წმინდა მიწა—ქართველი კაცის სალოცავი. თვითონ რიგი ქართველები, ჩინ-მედალ მოყვარულები ედგნენ მათ მხარში.

.გავიდა საუკუნეზე მეტი ისევ მოხდა საქართველოს ანექსია ისევ საქართველოს შეგნებულად მოდალატე შვილებმა შემოიყვანეს ქართულ მიწაზე რუსი ოკუპანტები და სალდათური მძიმე ჩექმებით გადაატარეს მამა-პაპის საძვალეზე, წმინდა საფლავებზე და საქართველოს ეღონოდ მფეთქავ გულზე. ესეც არ იკმარეს.

ქართველი ბიჭები რომ ერთად შეიკრიბონ, ერთ მუშტად შეიკვრნენ, ვაი ჩვენ, ასე ადვილად არ შეგვარჩენენო ქართული მიწის შეგინებას და დაპყრობას. არიქათ, გავთიშოთ და ბატონობა ჩვენი იქნებაო... და გათიშეს ქართველი ბიჭები; ვინ შორეულ აღმოსავლეთში მოისროლეს და ვინ უზბეკეთში, ვინ—ავღანეთში და ვინ ბალტიისპირეთში და ვინ მოსთვლის, სად აღარ. ქართული გენი ხომ სამუდამოდ შეიძულეს და ჩაკვლა მოუნდომეს. ჰკითხეთ თქვენს უფროს მეგობრებს და ისინი გიამბობენ, როგორ აწამებდნენ მათ იქ, რუსის ჯარში, იმის გამო, რომ ქართული დაუმონავი სული ჰქონდათ, როგორ ცდილობდნენ ქართული ხასიათის ჩაკვლას, ფეხქვეშ გათელვას. ჰკითხეთ რა არის ე. წ. „ლატოჩკა" და გეტყვიან.

რამდენიმე დღეში 50 ვაჟკაცი უნდა შეემატოს ჩვენი რაიონიდან ეროვნული გვარდიის რიგებს.

მე კითხვა გზავნეთ „ლეჩხუმის" რედაქციას და რადიოგადაცემების საშუალებით აცნობოს მთელ რაიონს იმ 50 საუკეთესო ჭაბუკის სახელი, რომლებიც პირველად ჩაგებით საქართველოს დამცველთა რიგებში ჩვენი რაიონიდან.

კითხვა „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ ორგანიზაციას, ახალგაზრდულ ორგანიზაციას, რაიონის ყველა ახალგაზრდას, გულთბილი გაცილება - მოგიწყონ თქვენ, გვარდიაში მიმავალთ და არ გაწყვიტონ კავშირი თქვენთან გვარდიაში ყოფნის მანძილზე.

ჩვენ, ყველას, გვჯერა თქვენი ვაჟკაცობის, ბიჭებო და ღმერთმაც ქნას ეს რწმენა არ დაგვეკარგოს!

გზა დაგელოცოთ, ბიჭებო, საქართველოს სამსახურისაკენ მიმავალი წმინდა გზა!

გფარავდეთ წმინდა გიორგი, ხახულის ხატი და ნინოს ჯვარი!

მაყვალა კოკალიანი.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცაგერის რეგიონალური ორგანიზაციიდან.

ვაგრძელებთ პუბლიკაციას: საქართველო და ქრისტიანობა

ზაბილონი— მამა წმინდა ნინოსი

ვინ იყვნენ ეს ფრანგნი ზაბილონის მიერ ნათელცხებულნი და რას წარმოადგენენ მთელი ქვეყნისათვის, საფრანგეთის რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაწილსა და მონაკვეთს, რომლის განმანათლებლადაც თავად მოისურვეს მკვიდრთა მათ ზაბილონი, დასაზუსტებელი და შესასწავლია. აშკარა და ცხადია ერთი რამ—საქმე ეხება სამხრეთ საფრანგეთის რომაულ ქვეყანაზე მიბჯენილ ნაწილს და საინტერესოა დიდად, არსებობს თუ არა ფრანგული ქრისტიანული უძველესი წყაროების მატიანეში რაიმე ანალოგია თუ ანარეკლი, ზაბილონის პიროვნებისა. რამდენად ზუსტია ამ საკითხში, როგორც ისტორიული წყარო საფრანგეთის ისტორიისათვის, წმინდა ნინოს ქართული ცხოვრება და აისახა თუ არა სადმე კაბადუკიელი მხედართმთავარი, როგორც ერთ-ერთი ადრეული მომაქცეველი და განმანათლებელი ფრანგებისა ქრისტიანულ სჯულზე. ხომ არ არის ქართული წმინდა ნინოს ცხოვრება ერთადერთი წყარო ამ ფაქტისა და მოვლენისა. სხვაგან ყველგან წაშლილი და ჩვენამდე მოუღწეველი, ფრანგული ისტორიოგრაფიისათვის წმინდა ნინოს გზით გადარჩენილ საქართველოში (ხომ არსებობს ასევე საქართველოსათვის ძვირფასი ფრანგი მისიონერის ერთადერთი წყარო, რომლითაც 16 წლის ჭაბუკს, ლაშა გიორგის თავის დედის ანდერძისამებრ, თამარ მეფის ძვლები მიაქვს იერუსალიმს ქრისტეს საფლავის ეკლესიაში დასაკრძალავად?!)

საფრანგეთის ისტორიის პირველივე ფურცლებზე, ერთობ საინტერესო ასოციაციასთან გვაქვს საქმე ზაბილონისა და წმინდა ნინოს ერთიან მისიაში.

„ფრანგი ერი წარმოადგენს ადამიანთა ერთობას, რომელიც წარმოიშვა ისტორიული განვითარების პროცესში. ფრანგები არ წარმოადგენენ წმინდა რასას“— ვკითხულობთ წიგნში საფრანგეთის ისტორიისა,—საფრანგეთის ტერიტორიაზე ერთმანეთს ცვლიდნენ რიგრიგობით და ერწყმოდნენ ერთმანეთს სხვა ხალხებთან ერთად კელტები, რომაელები და გერმანელები. სხვადასხვა ელემენტები, რომლებიც ერის მახასიათებლები არიან, თავიანთი ფესვებით მიდიან შორეულ წარსულში. ისინი თანდათანობით იღებდნენ რაღაც სტაბილურ ფორმას. ისტორიკოსთა ერთი რიგის თვალსაზრისით კი ფრანგი ერის წარმოშობისა და აღმოცენების თარიღად უნდა მივიჩნიოთ 843 წლის ხელშეკრულება ვერდენისა, რომლითაც დაიყო იმპერია კარლოს დიდის“.

ამრიგად, საფრანგეთის ისტორიაში დადასტურებულია ფაქტი, რომ საფრანგეთის ტერიტორიაზე მრავალ ისეთ ხალხს უცხოვრია, რომლითაგან ზოგი დღეს საერთოდ აღარ არსებობს. ასე მაგალითად: გამქრალან საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე მცხოვრები ლიგურები, რომელნიც ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში ზოგნი გამოუდევნიათ კელტებს, ზოგნი გაუკელტებიათ. ლიგურებზე უფრო ძველ მოსახლეობად საფრანგეთის სამხრეთ დასავლეთში მიჩნეულნი არიან იბერები.

მე-6 საუკუნეში ფრანგთა იბერებში გადმოსული ვასკინები, —როგორც პროფესორი ლიუბლინსკაია წერს,—იგივე იბერები, შეერივნენ ადგილობრივ აქვიტანებსა და იწოდნენ გასკონებად (აქედან გასკონია). პირინეის მთებში დღემდე ცხოვრობს მცირერიცხოვანი ხალხი იბერიული წარმოშობისა—ბასკები: მათგან დაახლოებით 180 ათასი საფრანგეთში, 600 ათასი—ესპანეთში (საფრანგეთის ისტორიის ნარკვევები, 1957 წ. გვ. 14). რომაელები ჯერ კიდევ II საუკუნეში არიან შესულნი გალიაში, ქრისტეს წინარედ, რომაელი სოვდაგრების გზით.

58-51 წლებში ცეზარმა დაიპყრო გალია და აქცია იგი რომის პროვინციად. ცეზარის მიერ დაჭყრობილი ხალხი დამჭყრობლისა და დაპყრობილის შერწყმით ჩამოყალიბებული, აღმოცენდა, როგორც ახალი მოდგმა ანტიკურობისა, გალორომაული ხალხი, რომელიც ლაპარაკობდა ლათინური ენის ადგილობრივ დიალექტზე (კელტური ენა დაიკარგა). რომის იმპერატორები იქცნენ მესაკუთრეებად გალიური მიწისა —დაიწყო უდიდესი რომანიზაცია ქვეყნისა.—წერენ ისტორიანი —მხოლოდ მთიან რაიონებში საფრანგეთისა, ბისკაის ყურის უდაბურ ნაპირებში და პუატიეს ჭაობებში ძველი კელტური ტომობრივი ცენტრები თითქმის ხელუხლებლად გადარჩენილა. პირინეის ჩრდილოეთით კი გასკონია მთლიანად იბერიულია.

ქრისტიანობა გალიაში II საუკუნეში შევიდა, მაგრამ მთლიანად გალია დიდხანს რჩებოდა წარმართული (ისევე, როგორც საქართველოში: მოციქულები I საუკუნეში იყვნენ მოსულნი და ნიკეის I მსოფლიო კრებაზეც (325 წელი) გვყავდა ორი ეპისკოპოსი საქართველოდან, მაგრამ წმინდა ნინომდე ერთიანად და ნამდვილად, საქართველო ჯერ ისევ წარმართული იყო III საუკუნიდან ითვლება, რომ იმპერატორის ძალაუფლება გალიაში ხდება მერყევი და ეკონომიკური კრიზისი ითანაებს მთელს იმპერიაში დაწყებულ პოლიტიკურ კრიზისს (საფრანგეთის ისტორიის ნარკვევები 1957წ).

ვალები იწყებენ განდგომასა და თავდასხმებს თავიანთ დამპყრობზე. აქედან წმინდა ნინოს ცხოვრება, როგორც წყარო საფრანგეთის ისტორიისა, შესანიშნავად ებმის ფრანგული ისტორიოგრაფიის ფურცლებს. განდგომილი და მოიერიშე ფრანგების დასათრგუნად რომის კეისარი გზავნის კაბადუკიელი ჭაბუკის—ზაბილონის მხედართმთავრობით შემართულ ლაშქარს და ფრანგთა შეპყრობილი მთავრისა და საფრანგეთის დიდებულების ამ ბავი აგრძელებს რამანა და ფრანგეთის ერთიან ეროვნულ ტიანულ ისტორიას. ფრანგების ისტორია გვაუწყებს, რომ მე-4 საუკუნის შუაგულში, როდესაც გალიაში უკვე ჩნდება მონასტრები პუატიესა და ტურას მახლობლად იწყება გაქრისტიანება გალიური სოფლებისაც... ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსი, ბ-ნი ვახტანგ გოილაძე ფიქრობს, რომ ადგილი, სადაც ზაბილონმა ფრანგებთან ომი გადაიხადა, უნდა იყოს კატალაუნის ველზე, სადაც ისტორიული ბრძოლა გაიმართა 273 წლის ზაფხულს. აქ ერთი რამ არის საფიქრებელი, რომ რომიდან წასული ზაბილონას „ფრანჭეთი“ რეალურად უფრო სამხრეთი საფრანგეთი შეიძლება ყოფილიყო, ვინმემ ჩრდილოეთი. არ არის გამორიცხული და თავისუფლად შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამხრეთ საფრანგეთისა და რომის იმპერატორის დიდმნიშვნელოვანი ეროვნული ბრძოლების, დამპყრობლებისადმი და შემდგომი დაპყრობილთაგან მათი ქრისტიანული მოქცევის, მთელ ისტორიას იბერთა გალიაზეც მოეხდინა რაღაც გავლენა, რამეთუ „ბოანჭანი“ (რომელნიც ზაბილინის მოქცეულ ფრანგია ქვეყნის ხალხად არიან წარმოდგენილნი არავინ იცის ზუსტად, სამხრეთ-დასავლეთი საფრანგეთის „ბრანჭნი“ იყვნენ თუ სამხრეთ აღმოსავლეთისა. არავინ იცის, რა საერთო შეიძლებოდა ჰქონოდა საფრანგეთის იბრებს წმინდა ნინოს ცხოვრებაში მოცემულ „ბრანჭ“ ფრანგებთან, გარდა იმისა, რომ ზაბილონის ასულმა თავის საქადაგებლად მაინცდამაინც საუფლო კვართის მფლობელი კავკასიის იბერთა ქვეყანა აირჩია.

(გაგრძელება იქნება).

წერილები „ლეჩხუმს“

სოფელი მადლიერია

სოფელი ლარჩვალი 1987-88 წლებში სტიქიის შედეგად დაიმეწყრა, მოსახლეობა 10-12 ოჯახი იძულებული შეიქმნა საცხოვრებელი სახლები სოფლის ზემო უბნიდან ქვემოთ გადაეტანა. ზემო უბანში დარჩა დამხმარე ნაგებობანი, საკარმიდამო ნაკვეთები, სახნავ-სათესი ფართობები, საძოვრები. მეწყერმა ძლიერ დაზიანა, ზოგან კი მთლიანად წალეკა ისედაც მოძველებული სამანქანო გზა. მცხოვრებლებს გვჭირდა. მაგრამ გზის მშენებლობა უყურადღებოდ რჩებოდა.

მიმდინარე წელს სოფლის საბჭოვარი რაიონის საგზაო სამმართველოს ხელმძღვანელს ოლეგ გიორგობიანს გავუზიარეთ, რომელმაც გულდასმით მოგვისმინა, დაინტერესდა და მისი უშუალო მონდომებით აპრილის თვეში უკვე აღდგენილ იქნა სოფლისათვის სასიცოცხლოდ საჭირო ერთი კილომეტრი სამანქანო გზა, რამაც სხვა მრავალი პრობლემის მოგვარების საშუალება მოგვცა.

გზის მშენებლობაზე ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად დიდი მონდომებით იმუშავეს ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლებმა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს მექანიზატორებმა.

სოფლის მოსახლეობა დიდ მადლობას უხდის ოლეგ გიორგობიანს იმ ყურადღებისა და დახმარებისათვის, რაც ჩვენი სოფლის მიმართ უკვე გამოიჩინა და შემდგომშიც დახმარებას გვპირდება, მასთან ერთად მადლობა ყველას, ვინც გზის მშენებლობაში მიიღო მონაწილეობა.

ვიმედოვნებთ, რომ რაიონის ახალი ხელმძღვანელობა, შესაბამისი სამსახურები დაინტერესდებიან და დაგვეხმარებიან ჩვენი სოფლის სხვა გადაუჭრელი პრობლემების—ვაჭრობის, ელექტრო გაყვანილობის, რადიო, სატელეფონო კავშირისა და სხვა პრობლემების მოგვარების საქმეში.

ჭიჭიკო ხეცურიანი,

სოფ. ლარჩვალი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

მოიჯარეები მოითხოვენ

ალვის აგროუბნის სახნავ-სათესი ფართობი ძირითადად ჭალაა. ჭალის ფართობი მუშავდება ტრაქტორით, მოიჯარეებიც შრომობენ, ამუშავებენ და მოსავალს იღებენ.

მაგრამ ჭალის ფართობებში მიედინება 4 ღელე, რომლებიც ადიდების დროს ბობოქარ მდინარეს ემსგავსება.

ადრე ჭალაში იყო არხები ახლა ეს არხები ამოვსებულია და ადიდებული ღელეები მთელი ჭალის ფართობს ტბორავს.

ამიტომ აუცილებელია არხების ხელახალი ამოღება, რაც მოიჯარეთა შესაძლებლობებს აღემატება და იგი ოსურიაშის კოლმეურნეობამ უნდა გააკეთოს.

აღველი მოიჯარეები სამართლიანად მოითხოვენ ოსურიაშის კოლმეურნეობების ხელმძღვანელობიდან ამ საქმის სასწრაფოდ მოგვარებას, სანამ დათესილი თესლი დალპებოდეს. თორემ გვიან გაკეთებული არხები აღარ უშველის წამხდარ საქმეს.

შ. ყურაშვილი,

გაზეთ „ლეჩხუმის“ საკ. კორეს. პონდენტი“.

კეთილი გულით მიძღვნილი

„ჩვენ, ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მოგმართავთ, როგორც მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონის მოსწავლეებს—მთელი არსებით გითანაგრძობთ, თქვენს გვერდით გვიგულვეთ“...

ასე იწყება ის თანაგრძნობის წერილი, რომელიც ორბელის საშუალო სკოლის მე-6 კლასელებმა დაზარალებულ ონის რაიონის თანატოლებს გაუგზავნეს. წერილთან ერთად ყუთში ბავშვებმა საკუთარი ოჯახებიდან შეგროვილი ლეჩხუმური საკვები პროდუქტები—ლობიო, ნიგოზი და ხმელი ჩირი ჩაალაგეს. ეარგა მოზრდილი ყუთი აავსეს.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ცოტაა იმ უბედურებასთან, რაც თქვენ გადაიტანეთ, მაგრამ ნათქვამია—კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებისო. გიგზავნით ჩვენს მიერ შეგროვილ ფულს—220 მანეთს და ჩვენებურ საკვებ პროდუქტებს.

ალბათ ჩვენს ცხოვრებაში ვერც ჩვენ გავისხენებთ იმაზე მძიმე წამებს, რაც 1991 წლის 29 აპრილს ნაშუადღევს მოხდა. საშინელი ხმაურით ირხეოდა ირგვლივ ყველაფერი. გაკვეთილზე ვიყავით სკოლის შენობის მეორე სართულზე, მერე საშინელი კოშმარი... შეშლილი სახეები, წივილ-კივილი, თავპირისმტვრევა კიბეებზე... ერთი მოსწავლე მეორე სართულის ფანჯრიდანაც გადახტა და საავადმყოფოში მოათავსეს. მადლობა ღმერთს, გადავრჩით, მაგრამ უსაშველოდ გვტკიოდა, განვიცდით რაჭისა და დიდი აკაკის მშობელი მხარის, საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მდგომარეობას. ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი“. **წერილს**, ხელს აწერენ ორბელის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები—ნათია და თეა, ფატი და მანანა, მაკა, მაია და ქეთინო ბურჯალიანები, მერაბ გელოვანი, ქეთი და ნუგზარ გვიშიანები, ელისო ლეშკაშელი, მინდია მეგრელი, ლევან მუკბანიანი.

დაზარალებული თანატოლებისადმი გასაგზავნი ფული და პროდუქტები ცაგერში გადმოვიტანეთ, საგზაო სამმართველოდან დასახმარებლად მიმავალ ავტომანქანაში მოვათავსეთ და მიწისძვრით დაზარალებულთა შტაბში გავგზავნეთ.

მზია გურჯალიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ

ბედნიერ ოჯახურ წინაშეგულებს!

ნინო შკუგულიანს
მუხრან ლიპარტელიანს

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი და შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ზინა, ციცო, დავით, ალექსანდრე ცვარიანები.

ნინო შკუგულიანს
მუხრან ლიპარტელიანს

გილოცავთ ბედნიერებას, ღმერთმა გამრავლოთ.

თამაზ ბენდელიანი, დათო ლეთოდიანი, გოგი სილაგაძე, ავთო მუშკუდიანი, ნოდარ ხვადაგიანი, ჯიუ მურცხვალაძე.

ლაღი ღეთოდიანს
გიორგი კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. სიკეთე, სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. გისურვებთ ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებას.

შორენა ხეცურიანი, მელანო ყურაშვილი.

მზია ვაღიკოს ასულ ჟორჟოლიანს
ჯეირან რაჟდენის ძე ჯიაძეს

გილოცავთ ბედნიერებას, ულევი სიხარული და მარადიული სიყვარული დაებედოს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

იზო, ვალიდა, ლილი, ალიოშა ჭაბუკიანები.

ნაირა ჩუბინიძეს
დათო მინდაძეს

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. ღმერთმა გამრავლოთ.

ბაბილო, შოთა, მალვინა, მამუკა, ნათია, გიორგი ახვლედიანები.

ნინო ვაჟას ასულ შკუგულიანს
მუხრან მურადის ძე ლიპარტელიანს

გილოცავთ ბედნიერებას, გამრავლება და სიხარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

თემურ ლიპარტელიანი ოჯახით.

გილოცავთ

მირიან ახვლედიანს
ემზარ კოპალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ სიხარულსა და ოჯახურ ბედნიერებას.

რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის" რედაქციის და რაიონული სტამბის შრომითი კოლექტივი.

ლამარა ჯაბურიას

გილოცავთ შვილის, ნინოს ბედნიერებას. ღმერთმა დალოცოს და ამრავლოს მისი ახალი ოჯახი, სვებედნიერი ყოფილიყოს მათი ცხოვრება.

გურამ ხმელიძე ოჯახით.

მადონა გენიძეს
გესიკ მუკგანიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, ნურასოდეს მოგკლებოდეს თქვენს ოჯახს ბავშვების ჟრიამული.

მანანა მამარდაშვილი.

მედიკო, ომარ ფრუიძეებს
ეთერ, ენდი ფრუიძეებს

გილოცავთ შვილების ბედნიერებას. სიხარული ნუ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს.

ალპანის საავადმყოფოს თანამშრომლები.

გაგუცა, გრიშა გენიძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გამრავლოთ და გაბედნიეროთ ღმერთმა.

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ეუეუნა თედორეს ასულ კენჭაძეს
გივი მეთოდეს ძე მინდაძეს

გილოცავთ შვილის, დათოს ბედნიერებას. შვილმრავალი ყოფილიყოს მათი ახლადშექმნილი ოჯახი.

ნაზიკო აბაშიძე, ნაზიკო ახვლედიანი, ნელი ფუტკარაძე, ნაზიკო ლეშკაშელი, ეთერ ალავიძე, ნელი მახარობლიძე, თინა დავითულიანი.

აზა მურადის ასულ ლიპარტელიანს

გილოცავთ ძმის, მუხრანის ბედნიერებას. მტკიცე ქართული ოჯახი შეექმნას. აკვანთა სიმრავლე და სიყვარული დაბედებოდეს.

ბააკა ვილგემის ძე კოპალიანი.

ნოდარ ნესტორის ძე მესხაძეს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. სიხარული და გამრავლება არ მოგეშალოთ. ღმერთი იყოს თქვენი პატარას მფარველი.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ლენა გრიგოლის ასულ დავითულიანს

გილოცავთ დისშვილის ბედნიერებას, სიხარული და შვილთა სიმრავლე დაბედებოდეს.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

„მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს" ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს" წევრი"

ტარიელ კოპალიანი.

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეზობლები რაულ ბახსოლიანი, გუგულ ხაბულიანი, ნაზიკო კოპალიანი, ლამარა ბერიძე, ნონა ბენდელიანი, ჯიუ, ნაირა, ბორის მურცხვალაძეები, მანანა, ფოთოლა ბაკურაძეები, ვალერი ლეშკაშელი, სავა ლეფტეროვა, დათო ხეცურიანი, სლეიტონ, იური მეგრელები, ვალიკო თუთისანი, ხურაბ ხეცურიანი, ჯენი მანდარია, სულიკო ყურაშვილი, მზია, ნათელა, მურად სილაგაძეები, ვაჟა ჩაკვეტაძე, დევლეთ მუკბანი, მურთაზ ამბროლიანი, მამუკა მუშკუდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა .

ტარიელ ჯოკიას ძე კოპალიანი

ციცო სადილიანი, ძაძუ ახვლედიანი, ტატიანა ყურაშვილი, ლამარა ბერიძე, შუქურა ქარსელაძე, თამრო ტვილდიანი, ქეთინო ლიპარტელიანი, შოთა ახვლედიანი თანაუგრძნობენ ირა და გულვერ ბრეგვაძეებს მამიდაშვილის

ჯაბულ ფრუიძის

გარდაცვალების გამო.

ლასურიაშის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ოზია და როსტომ ბრეგვაძეებს

ჯაბულ ფრუიძის

გარდაცვალების გამო.

დედა სარა, ძმები სოსო, პორფილე, დეიდები ლიდა, ციცო, ბიძები დავით ყურაშვილი, ბუჭუ ბენიძე, გიური ბერუჩაშვილი, ბიცოლა ოლია, დეიდაშვილები სოზარი, მზია, ზურაბი, გულნაზი, ზაური, ლუარა, ზაირა, ქეთინო, მერაბი, ბიძაშვილები ბორისი, გულნაზი, ლია, მელანო, რძლები ციცო უგულავა, მალვინა სილაგაძე, ნელი ბურდული, სიძეები ჟანვერ სვანიძე, ბადრი გურგუჩიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ტარიელ ჯოკიას ძე კოპალიანი

დაკრძალვა 1 ივნისს შაბათს ქ. ცაგერში. გამოსვენება კოსტავას ქ. №22-დან.

ლია, დოდო, დათო მუშკუდიანები, ციცინო, ეთერ სვანიძეები, გულო მესხაძე, ნათელა ქომეთიანი, ხათუნა კოპალიანი, მარინე სვანიძე, ლოლა ბურჯალიანი, ნოდარ ყვირილიანი თანაუგრძნობენ როსტომ ბრეგვაძეს მამიდაშვილის

ჯაბულ ფრუიძის

გარდაცვალების გამო.

რაისა გოლეთიანი, ნარგიზა მურცხვალაძე, სულიკო ყურაშვილი, ნანულ სილაგაძე, აზა ნემსაძე თანაუგრძნობენ ცარო გოლეთიანს მეუღლის

ჯაბულ ფრუიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ცარო, დედა ბელო, მამა ვარლამი, ... გიორგი, ეენია, შვილები მაია, თეა, ნათია, ... სიდედრი ვენერა, ცოლისდა აზა, ქვისლი ომარ გაბუნია, დეიდა თამარი, მამიდები, ბიძები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯაბული ვარლამის ძე ფრუიძე

დაკრძალვა 1 ივნისს, შაბათს სოფ. ალპანაში.

შვილი საშა, სიძე ჯუმბერი, შვილისშვილი სერგო, მახლისშვილები სოსო, შურა, რძლები ოლია, დოდო, თინა ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალენტი გარსევანის ასული სილაგაძე-გუგავა

დაკრძალვა 1 ივნისს, შაბათს სოფელ უსახელოში.

თალიკო, ნუნუ, დავით მანდარიები, ნინო, ნათია ჯიაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელე გვიშიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბუჭუ ბენიძე, ჟანვერ სვანიძე ოჯახით იუწყებიან

ტარიელ კოპალიანის

გარდაცვალებას.

ბიჭიკო ოქანაძე ოჯახით იუწყება

ტარიელ კოპალიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სპორტკომიტეტის სპორტსკოლის და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ პორფილე კოპალიანს ძმის

ტარიელ კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

№23 საგზაო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა სამმართველოს მძღოლი

ტარიელ ჯოკიას ძე კოპალიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გივი, გრიგოლ, მიშა ბურჯალიანები, მურმან გვიშიანი, რეზო სივსივა, ბადრი გოლეთიანი იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ელე გვიშიანი

ბორის, გრიშა კოპალიანები, გრიშა გოგიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ტარიელ ჯოკიას ძე კოპალიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

ლაშა გივის ძე ბურჯალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახსა და ახლობელ-ნათესავებს

ჯაბულ ფრუიძის

გარდაცვალების გამო.

ორბელის საკრებულოს კავშირგაბმულობის განყოფილების, შემნახველი ბანკის, მაღაზიების, კულტურის სახლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანა, გოგი გვიშიანებს დედისა და დედამთილის

ელე გვიშიანის

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი" გამოდის
• სამშაბათს
• ხუთშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართი: 384140 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელ მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, ნშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-23

შეკვეთა № 41 ტირაჟი 4800

რედაქტორი
ნოდარ ნემსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა